საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის თამარ ალფაიძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**15**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**15**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**20**
პროფესიული თვისებები	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**10**	**10**
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**74**	**100**

სახელი, გვარი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი : 27.06.2025

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **თამარ ალფაიძის** შეფასების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულებით დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურის ფარგლებში, კანდიდატის - თამარ ალფაიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატი - თამარ ალფაიძე, კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით თამარ ალფაიძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მის შესახებ გამოთხოვილი იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან გამოთხოვილ იქნა მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; ანტიკორუფციული ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების

შესახებ. გარდა აღნიშნულისა, კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისაგან მიღებულ იქნა სპეციალური ფორმის მიხედვით შევსებული რეკომენდაციები და კითხვარები. ამასთან, ამ კრიტერიუმით შეფასებისას გავითვალისწინე კანდიდატის მიერ შევსებულ განაცხადში მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენის დროს უშუალოდ მისი მხრიდან გამოვლენილი თვისებები.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, **<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u>** მახასიათებლის თაობაზე კანდიდატთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მას დადებითად ახასიათებენ. კერძოდ, გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, პროფესიულ სინდისს, პასუხისმგებლობის გრძნობას. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. აღნიშნული კრიტერიუმის ერთ-ერთ მახასიათებელში რესპოდენტებს უჭირთ კანდიდატის შეფასება.

თამარ ალფაიძეს სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად, არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონაცემებით, კანდიდატის სახელზეა რეგისტრირებული უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი 2849 კვ.მ. ვანის რაიონი, სოფელი ფერეთა; მიწის ნაკვეთი 563 კვ.მ. თეთრიწყარო, სოფელი ამლევი (უნივერსიტეტის აგარაკები)/ორბეთი (სისტემური რეგისტრაციის მიმდინარე პროცესი). უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. კანდიდატი რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში (თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მოანცემების მიხედვით, სტატუსი შეჩერებულია, თუმცა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემებით, სტატუსი აქტიურია).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით დაკისრებული ჯარიმები თამარ ალფაიძეს გადახდილი აქვს დროულად.

<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის</u> მახასიათებელს რაც შეეხება, გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატს აფასებენ, როგორც დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და სამართლიან პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ მას შეუძლია საკუთარი პოზიციის დაცვა, არ ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ.

რაც შეეხება კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ თამარ ალფაიძე არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი. 2019 წელს მან მონაწილეობა მიიღო შუალედურ არჩევნებში როგორც მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა. საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით მივიღე მხედველობაში, რომ საჯარო მოსმენის დროს კანდიდატი იყო კორექტული და თავაზიანი. ამასთან, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისსამართლებრივი

წარმოება არ დაწყებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, კანდიდატი 2018 წლის 11 მაისის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმეზე ცნობილია დაზარალებულად. საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში თამარ ალფაიძის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში არსებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მონაწილეობდა ორ დასრულებულ სამოქალაქო საქმეში, კერძოდ: 1. მოსარჩელე - სს „ბანკი რესპუბლიკა", მოპასუხე თამარ ალფაიძე, დავის საგანი - ხელშეკრულების შეწყვეტა, ფულადი ვალდებულების შესრულება, საქმე N2/7166-11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.05.2012 წლის განჩინებით დატოვებულია განუხილველად; 2. მოსარჩელე - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი - ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად აღმოცენებული ფულადი თანხის დაკის-რება; საქმე N2/10052-12; თბილისის საქალაქო სასამართლოს 31.08.2012 წლის განჩინებით დატოვებულია განუხილველად.

<u>**პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის**</u> მახასიათებლის მიხედვით, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად.

ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატ თამარ ალფაიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია მის საზოგადოებრივ საქმიანობასთან, საკანონმდებლო ინიციატივებთან და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თამარ ალფაიძე მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ ღონისძიებებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოიკვეთა გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებლით შემოწმებისას კანდიდატი შევაფასე დადებითად და მიმაჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, **თამარ ალფაიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შერჩევის პროცედურაში მონაწილე კანდიდატი, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე თამარ ალფაიძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, - სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწე-

ვები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას და მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ ნაშრომებს, ასევე - საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის</u> კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2025 წლის 5 ივნისს თამარ ალფაიძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა. საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა. შეფასების პროცესში ასევე შესწავლილი იქნა თამარ ალფაიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ხასიათის ნაშრომები.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების შესწავლით ნათელი გახდა, რომ თამარ ალფაიძეს შეუძლია სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობა, ნაშრომები სამართლებრივად გამართულია.

კანდიდატის საჯარო მოსმენის შეფასებით, შეიძლება ითქვას, რომ თამარ ალფაიძემ ვერ წარმოაჩინა სამართლებრივი ნორმების სათანადო ცოდნის დონე. მან უმეტეს შემთხვევაში ვერ გასცა ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვებს პასუხი, მათ შორის, ვერ ისაუბრა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებზე, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლსა და საქმის განხილვის სპეციფიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ერთ შემთხვევაში, ზედაპირული პასუხი გასცა სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებულ დასმულ შეკითხვას. ასევე, კანდიდატმა ვერ გაართვა თავი საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებზე დასმულ კითხვებს.

საბოლოოდ მიმაჩნია, რომ თამარ ალფაიძეს არ აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, საერთაშორისო სამარილებრივი საკითხების სათანადო ცოდნის დონე. ამასთან, კანდიდატი ღელავდა და, მისივე განმარტებით, მოსალოდნელი შეცდომის დაშვების შიშით თავს იკავებდა დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისაგან.

<u>კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან</u> დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ თამარ ალფაიძეს აქვს მუშაობის ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ხასიათის სტატიები დასაბუთებულია. თუმცა, საჯარო მოსმენის ანალიზის საფუძველზე მიმაჩნია, რომ კანდიდატმა ვერ შეძლო სამართლებრივი მსჯელობა, მის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები არ იყო არგუმენტირებული და დასაბუთებულია. საჯარო მოსმენის შედეგის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ კანდიდატის მსჯელობა სამართლის პრაქტიკული და თეორიული საკითხების გარშემო არადამაჯერებელია.

<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნართან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თამარ ალფაიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ხასიათის სტატიებიდან გამომდინარე, მას აქვს სათანადო წერის უნარი. სტატიები მკითხველისთვის მარტივი და გასაგები ენით არის შედგენილი. იგი მეტყველებს ადეკვატურად, თუმცა, საჯარო მოსმენის ანალიზის შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატის მსჯელობა არის არათანმიმდევრული, სამართლებ-

რივ ანალიზს მოკლებული. ამასთან, კანდიდატს ჰქონდა ძლიერი ემოციური ფონი და თვალსაჩინო იყო მღელვარების ნიშნები.

<u>პროფესიული თვისებებთან</u> დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთაგან ერთ-ერთი რესპოდენტი კანდიდატს აფასებს მინიმალურად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თამარ ალფაიძე მეტყველებს გამართულად, თუმცა, კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე ვერ შეძლო სხვადასხვა საკითხზე არგუმენტირებული და დასაბუთებული მსჯელობა.

<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის მახასიათებელთან</u> კანდიდატის შეფასებისას მივიღე მხედველობაში, რომ თამარ ალფაიძე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში. მას აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, მიღებულ ცოდნას კი წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. კანდიდატი მონაწილეობს სამართლებრივ საკითხებზე გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში.

<u>პროფესიული აქტივობის</u> მახასიათებელთან მიმართებით, კანდიდატის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ თამარ ალფაიძეს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში: (ტრენინგი - The center for global communication studies at the annenberg schcool for communication, university of pensilvania, 2012 წელი; ტრენინგი - teaching ict pollicy skills, 2012 წელი; ტრენინგი - training on media regulations, 2011 წელი; AI Regulation A Micro Course for Lawyers, Neiron ACADEMY, 2021 წელი და სხვა.) ამასთან, სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, არის რამდენიმე სამართლებრივი ხასიათის ნაშრომის ავტორი.

ამდენად, **კომპეტენტურობის კრიტერიუმის** თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ თამარ ალფაიძის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 74 ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი: 27.06.2025